საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

სოლიდარობას ვუცხადებთ უკრაინელ ხალხს

ჩვენ, ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები, გამოვხატავთ აღშფოთებას რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ დაწყებული დანაშაულებრივი ქმედება ემსახურება დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს განადგურებას.

ბარბაროსულმა ქმედებამ უკვე იმსხვერპლა არაერთი ადამიანის სიცოცხლე. დამპყრობლური ომის გაგრძელება გამოიწვევს უამრავ მსხვერპლს, ნგრევასა და ინსტიტუტების მოშლას.

რუსეთის ფედერაციის მიერ გამოცხადებული ომი მიმართულია არა მხოლოდ უკრაინის წინააღდეგ, არამედ ძირს უთხრის როგორც მთელი ევროპის, ისე მსოფლიოს მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველო არაერთგზის გამხდარა რუსული აგრესიის მსხვერპლი. შესაბამისად, ჩვენ კარგად გვესმის როგორი ტკივილის მიყენება შეუძლია რუსულ აგრესიას თითოეული ადამიანისთვის, როგორც ფიზიკური, ისე მორალური და მეტერიალური პრობლემების თვალსაზრისით, რაც იწვევს დევნილობას, ჰუმანიტარულ კრიზისსა და ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის მოსპობას.

დღეს საქართველო, თავისუფალ სამყაროსთან ერთად დგას უკრაინელი ხალხის გვერდით. ახლა არის დრო ერთიანობის. ჩვენ უნდა ვიყოთ სოლიდარულები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე დემოკრატიულ სამყაროსთან და მოვახდინოთ ამ სოლიდარობის დემონსტრირება, რისკენაც დაბეჯითებით მოვუწოდებთ საქართველოს პოლიტიკურ ძალებს.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა მხარდაჭერასა და სოლიდარობას უცხადებს უკრაინას - „ჩვენ თქვენს გვერდით ვართ!“.